პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს.ა.კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და ს.ა.კ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 სამშაბათი, 27 აპრილი, 1943 წ. № 94 (6719). ფასი 20 კაპ.,

საბრძოლო დათვალიერების წინ

ახლოვდება 1 მაისი — მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღე. ჩვენი ქვეყანა მეორედ ხვდება 1 მაისის დღეს ჰიტლერული ავაზაკებისაგან საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის დიდი სამამულო ომის ვითარებაში, გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ დაძაბული და გააფთრებული ბრძოლის ვითარებაში.

ამ დღეს წარსულ წლებში ჩვენ ვამაყებდით მშვიდობიანი შრომის ასპარეზზე ჩვენი მიღწევების შედეგებს. ამჟამად 1 მაისის დღე არის მომავალი გააფთრებული, გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ჩვენი მზადყოფნის შემოწმების დღე. მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია ერთი ფიქრითა და ერთი ნებისყოფით—მიაღწიონ საძულველი მტრის განადგურებას, აგემონ მას გამანადგურებელი, მომაკვდინებელი დარტყმა.

ამჟამად ჩვენს დროში განსაკუთრებული ძალით გაისმის ს.ა.კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდების სიტყვები:

გაუმარჯოს 1-ლ მაისს—მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს! მშრომელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად!

ჰიტლერელმა ყაჩაღმა იმპერიალისტებმა დაარღვიეს ხალხთა შორის მშვიდობიანობა, ომის ცეცხლში გახვიეს ასეულ მილიონობით მშრომელნი. გერმანელ ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ სიძულვილი უდვიეს გულში ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხს, რომელნიც გაერთიანდნენ, რათა იბრძოლონ და გაიმარჯვონ კაცობრიობის მოსისხლე მტერზე. მოწინავე კაცობრიობის ბრძოლას ჰიტლერული ტირანიის წინაღმდეგ ეწევა ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო კავშირი.

გაუმარჯოს ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის საბრძოლო კავშირის გამარჯვებას კაცობრიობის მტრებზე—გერმანელ ფაშისტ დამმონებლებზე!

მტკიცდება ანტიჰიტლერული კოალიციის საბრძოლო ერთიანობა. საბჭოთა ხალხის გმირული წინააღმდეგობის შედეგად, გერმანელ ფაშისტთა ურდოებისათვის წითელი არმიის მიერ მიყენებულ უდიდეს დამარცხებათა შედეგად, ჩვენს მოკავშირეებს ჰქონდათ დრო თავიანთი რეზერვების მობილიზაციისათვის, მათ მოახერხეს დაეგროვებინათ ძალები და მოემზადებინათ ჯარები მტრის წინააღმდეგ გამანადგურებელი დარტყმებისათვის. ომის აფრიკის ასპარეზზე ინგლის-ამერიკის ჯარებმა სერიოზული დამარცხებანი აგემეს იტალია-გერმანიის ჯარებს, მათ გარეკეს ისინი ლიბიიდან და ამჟამად ერეკებიან მათ ტუნისიდან—იტალია-გერმანიის კოალიციის ამ უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტიდან აფრიკის კონტინენტზე.

გაუმარჯოს ხახელოვან ინგლისელ-ამერიკელთა ჯარებს, რომელნიც ანადგურებენ გერმანელ-იტალიელ ფაშისტებს ჩრდილოეთ აფრიკაში!

წითელი არმიის ზამთრის შეტევამ გარდატეხა მოახდინა ომის მთელ განვითარებაში. სტალინგრადთან წითელმა არმიამ ისეთი დამარცხება აგემა მტერს, როგორიც ომების ისტორიაც ჯერ არ მოსწრებია. სტალინგრადთან გერმანიის არმიის განადგურება იყო სტალინური სტრატეგიის გამარჯვება, ჩვენი სარდლების სამხედრო ხელოვნების გამარჯვება, ჩვენი ჯარების მამაცობის, გმირობისა და თავდადების გამარჯვება, ჩვენი ჯარებისა, რომელნიც აღფრთოვანებული არიან დიადი მიზნით—გაათავისუფლონ სამშობლო უცხოელ მოძალადეთაგან.

მტერმა დიდი დამარცხება განიცადა. მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის განადგურებული, იგი ჯერ კიდევ ძლიერია, იგი გაცხარებით რაზმავს თავისი რეზერვების ნაშთებს, იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა აიძულოს თავისი ვასალები რაც შეიძლება მეტი საზარბაზნე ხორცი გაჰგზავნონ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. გაბორკილებით ცოფმორეული, მრისხანე შურისგების ჟამის მოახლოების შიშით შეპყრობილი მტერი ემზადება გაშმაგებული ბრძოლისათვის, ამზადებს ახალ-ახალ ავანტიურებს.

საბჭოთა ხალხმა, მისმა წითელმა არმიამ ომის განმავლობაში კარგად გაიცნეს მტერი, რომელიც არაფერს არ ერიდება, რომელიც მზად არის ჩაიდინოს ყოველი უაღრესად საშინელი დანაშაული, სრულიად უმაგალითო ბოროტმოქმედება თავისი მძარცველური, მტაცებლური მიზნების მისაღწევად. და ამიტომ განსაკუთრებული გულმოდგინებით, მთელი თავისი ძალ-ღონეს დაძაბვით უნდა ემზადებოდეს და კიდევაც ემზადება წითელი არმია მომავალი ბრძოლებისათვის, მომავალი შეტაკებებისათვის, ახსოვს რა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის — ამხანაგ **სტალინის** ბრძანება იმის შესახებ, რომ საჭიროა დაუღალავად სრულვყოთ ჯარების საბრძოლო წვრთნა, განვამტკიცოთ დისციპლინა, წესრიგი და ორგანიზებულობა.

მტერი უაღრესად შეუბოვარი წინააღმდეგობის გაუწევლად, სასტიკი ბრძოლის გაუმართავად არ დასთმობს მის მიერ დაპყრობილი საბჭოთა მიწა-წყლის არცერთ კილომეტრს. ვემზადებით რა ბრძოლებისათვის, მუდამ უნდა გვახსოვდეს მტრის შესახებ, რომელიც მზად არის გამოიყენოს თუნდაც სულ მცირე ჩვენი დაუდევრობა, ჩვენი სიფხიზლის სულ მცირე შენელება. ყოველი მოპოვებული წარმატება ისე უნდა იქნას განმტკიცებული, რომ იგი ახალ-ახალი წარმატების, ახალ-ახალი გამარჯვების საწყისი პუნქტი გახდეს.

წითელი არმიის მეომარნო! განამტკიცეთ და განავითარეთ ზამთრის ბრძოლების წარმატებანი, არ დაუთმოთ მტერს არც ერთი მტკაველი მოთ მტერს არც ერთი მტკაველი ბრძოლით მოპოვებული მიწა, ემზადეთ გერმანელ ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის! სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

ს.კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს მოწოდება უნდა მიიღოს როგორც ბრძანება წითელი არმიის ყველა ნაწილებმა, ჩვენმა სახელოვანმა ქვეითებმა, ჩვენმა მფრინავებმა—ჩვენი სამშობლოს შევარდნებმა, ჩვენმა მებრძოლმა ტანკისტებმა, ჩვენმა მარჯვედ მსროლელმა არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა, ჩვენმა გულადმა კავალერისტებმა, ჩვენმა ვაჟკაცმა მეზღვაურებმა, ჩვენმა გამბედავმა მეავტომატეებმა, ჩვენმა უშიშარმა მზვერავებმა, ჩვენმა მამაცმა მეკავშირეებმა, ჩვენმა საინჟინრო-მესანგრე ჯარებმა.

საძულველი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა მიმდინარეობს არა მარტო ფრონტზე, არამედ ფრონტის ხაზს გადაღმაც, მტრის ზურგში, სადაც მამაცურად მოქმედებენ სახელოვანი პარტიზანები—ქალები და კაცები. საბჭოთა ხალხს მტკიცედ ახსოვს, რომ მან შური უნდა იძიოს მტერზე ყველა მისი უმაგალითო დანაშაულისათვის, გადაბუგული ქალაქებისა და სოფლებისათვის, საბჭოთა ადამიანების სისხლის დაღვრისათვის, გერმანიის მონობაში, ჰიტლერულ კატორღაში გარეკილი ჩვენი დებისა და ძმებისათვის. საბჭოთა ხალხსა და მის წითელ არმიას მტკიცედ ახსოვთ ყველა ისინი, ვინც ჯერ კიდევ იტანჯება ტყვეობაში, გერმანელ ოკუპანტთა უღელქვეშ. ჰიტლერული ტირანიის ამ ტყვეებისადმი არის მიმართული ს.კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდება, რომელიც ამბობს:

ძმებო და დებო! გერმანელი ფაშისტი არამზადების უღელქვეშ დროებით ჩავარდნილო რუსებო, უკრაინელებო, ბელორუსებო, მოლდაველებო, ლიტველებო, ლატვიელებო, ესტონელებო, კარელებო! გააჩაღეთ საყოველთაო-სახალხო პარტიზანული მოძრაობის ცეცხლი! ყლიტეთ გერმანელი არამზადები!

1 მაისი მშრომელთა ყველა ძალების საბრძოლო დათვალიერების დღეა, ეს არის ფრონტისა და ზურგის დათვალიერების დღე. მთელი ჩვენი ქვეყანა ერთი ფიქრით არის აღფრთოვანებული: ყველაფერი ფრონტისათვის!

„მთელი ჩვენი ძალ-ღონე მოვახმაროთ ჩვენი გმირული წითელი არმიის და ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დახმარებას! ხალხის მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ მტრის განადგურებას!“ (სტალინი).

ზურგი ისევე, როგორც ფრონტი, უნდა ემზადებოდეს და ემზადება მომავალი გადამწყვეტი შეტაკებებისათვის. ზურგის წინაშე დგანან უდიდესი ამოცანები—უზრუნველჰყოს ჩვენი წითელი არმია საკმაო რაოდენობის იარაღითა და საომარი მასალებით, თვითმფრინავებით, ტანკებით, შაშხანებით, ავტომატებით, ტყვიამფრქვევებით, ნაღმსატყორცნებით, ქვემეხებით, ყუმბარებით.

ზურგმა უნდა გააღიდოს იარაღის გამოშვება. ამისაკენ მოუწოდებს მას ს.კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

სატანკო ქარხნების მუშებო და მუშა ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მიეცით წითელ არმიას უფრო მეტი კარგი საბრძოლო მანქანები! აუმჯობესეთ ტანკების ხარისხი! რაც უფრო მეტია კარგი ტანკები, მით უფრო ახლოა მტერზე გამარჯვების ჟამი!

ფრონტის მომარაგება შეუფერხებლივ უნდა სწარმოებდეს. ყოველივე ეს პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს რკინიგზის, ავტომანქანების, ზღვაოსანი და სამდინარო ტრანსპორტის მუშაკების წინაშე.

სოფელიც და ქალაქიც გამარჯვების მოსაპოვებლად იბრძვიან. ამჟამად კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მუშა ქალების წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა—თავის დროზე, ორგანიზებულად ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა. ფრონტმა და ჩვენმა ქვეყანამ უნდა მიიღონ მეტი სურსათი, მეტი ნედლეული მრეწველობისათვის.

ბრძოლის მსვლელობაში ისე გამოიწრთო და განმტკიცდა მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის, როგორც არასოდეს არა ყოფილა. მთელი ჩვენი ხალხი, რომელმაც თავისუფლებისათვის და საბჭოთა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროშა აღმართა, დარაზმულია საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების), ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად ბრძოლას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), ლენინ-სტალინის პარტიას—გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის შთამაგონებელსა და ორგანიზატორს!

ს.კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი ასახავენ იმ ტიტანური ბრძოლის მთელ სირთულეს, მთელ უდიდეს გაქანებას, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწევა. ეს მოწოდებანი მოქმედების საბრძოლო პროგრამაა, რომლის განხორციელებაც გამარჯვებამდე მიიყვანს ჩვენს ქვეყანას.

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით—წინ, გერმანელ ოკუპანტთა გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან მათ განსადევნად!

„პრავდის“ მოწინავე, 26/IV.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 აპრილის დილის ცნობა

25 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 6 ნაწილის ერთ-ერთმა ქვეგანაყოფმა ბრძოლით დაზვერვა მოაწყო. ჩვენი მებრძოლები მტრის სანგრებში შეიჭრნენ და ხელჩართულ შეტაკებაში 70 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს. მოსობილია მტრის 1 ქვემეხი, 4 ტყვიამფრქვევი, აფეთქებულია ძელმაწყური და 5 ბლინდაჟი.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით 6 ნაწილის მებრძოლებმა გერმანელთა ქვეითი ჯარის იერიში მოიგერიეს. ბრძოლის ველზე ჰიტლერელებმა 100-მდე გვამი დასტოვეს. არტილერიის ცეცხლით გაფანტულია მოწინააღმდეგის ალაღი. მოსპობილია 12 საზდარი სომარ მასალიანად.

* * *

ბელგოროდის რაიონში 5 ნაწილის არტილერისტებმა ღია პოზიციებიდან დაშენით დაანგრიეს გერმანელთა 6 ძელმაწყური და ბლინდაჟი, ააფეთქეს სომარ მასალათა საწყობი და ჩაახშეს 1 სანაღმტყორცნო და 3 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. სხვა უბანზე ჩაფუშულია მტრის ცდა დაეზვერა ჩვენი სიმაგრეების სისტემა. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაწყვეტილია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე 5 ნაწილის მზვერავთა რაზმმა ღამით მტრის ზურგში შეაღწია. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 36 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაუწვეს საწყობი სურსათიანად და 5 ავტომანქანა ტვირთიანად. ზვზერავებმა ტყვეები წამოიყვანეს და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის მეთაურის მოკლე ჩანაწერები:

„9 აპრილი. ღამით რაზმის ამფეთქებელთა ჯგუფმა დანაღმა რკინიგზის ლიანდაგი. დილით ნაღმებზე აფეთქდა მტრის მატარებელი. მარცხის შედეგად დაიმტვრა ორთქლმავალი და 11 პლატფორმა, მატარებლის მცველთაგან მოკლულია 19 გერმანელი ჯარისკაცი.

10 აპრილი. ღამით დიდ ხანძარს ვხედავდით რკინიგზის სადგურის რაიონში. დილით ჩვენმა ამფეთქებლებმა ამბავი მოიტანეს, რომ ლიანდაგიდან გადაგდებულ იქნა შემადგენლობა საწვავიანად. დაიწვა 13 ცისტერნი ბენზინიანად.

13 აპრილი. ამაოდ შრომობდნენ გერმანელები რკინიგზის ლიანდაგის აღსადგენად. ჰიტლერელები 7 საათის განმავლობაში სწმენდდნენ გზას და ეწეოდნენ ლიანდაგის აღდგენას. პარტიზანთა ჯგუფი ამ დგილიდან 5 კილომეტრზე წავიდა და კვლავ ჩაწყო ნაღმები. ვზატაციელზე სროლა აუტეხეს გერმანელთა ავტომანქანებს. გერმანელები გაჩერდნენ და ცდილობდნენ დასდევნებოდნენ პარტიზანებს. ტყეში გაჩაღებული სროლის დროს მოკლულ იქნა 16 და დაჭრილ იქნა 20-ზე მეტი ჰიტლერელი".

* * *

გერმანელმა ფაშისტმა მკვლელებმა ხეიცურად გაუსწორეს ანგარიში მრნსკის ოლქის სოფელ სარის მოსახლეობას. ჰიტლერელებმა გაძარცვეს და ბრუნეს სოფელი. ფაშისტმა ჯალათებმა აწამეს დაზოცეს და დასწვეს ამ სოფლის 52 მცხოვრები, რომელთა შორისაც 12 ქალი და 16 ბავშვი იყო.

26 აპრილის საღამოს ცნობა

26 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ბარენცის ზღვაში ჩვენმა ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის დიდი ტრანსპორტი, აგრეთვე ტრალერი.

* * *

25 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს 46 დაზიანეს გერმანელთა 40-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქეს მოწინააღმდეგის 2 საწყობი სომარი მასალა და დაამსხვრიეს რკინიგზის შემადგენლობა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე არტილერიის, სანაღმტყორცნო ბატარეებისა და სნაიპერების ცეცხლით მოსპობილია 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ჩახშობილია მოწინააღმდეგის 4 საარტილერიო და 5 საანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ჩვენი მფრინავები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის აეროდრომს და მოსპეს მტრის 8 თვითმფრინავი. გარდა ამისა, საჰაერო ბრძოლაში ჩაგდებულია გერმანელთა 3 ავიაგამანადგურებელი.

* * *

ყუბანში ჩვენი ნაწილები არტილერიისა და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლას ეწეოდნენ მოწინააღმდეგისთან. სნაიპერებმა ამხ. დმიტრიენკომ, ნიეკეგოროდსკიმ და დემენტიევმა ორი კვირის განმავლობაში გაელიტეს 79 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სნაიპერმა ამხ. კომაროვმა მოსპო 36 ჰიტლერელი. გამანადგურებელმა მფრინავებმა გვარდიის კაპიტან პოკრიშკინის მეთაურობით ბრძოლა გაუმართეს გერმანელთა „მესერშმიტებს“. 10 წუთის ბრძოლაში საბჭოთა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 5 თვითმფრინავი.

* * *

სევასტოპოლის რაიონში 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს იერიში მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა, რომელიც ცდილობდა ბრძოლით ეწარმოებინა დაზვერვა. მოსპობილია 80 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ უბანზე მოწინააღმდეგის ქვეითმა ჯარმა იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. გერმანელთა რიცხვობრივად ჭარბმა ძალებმა მოახერხეს შეეღწიონ ჩვენი ქვეგანაყოფები და შემოჭრილიყვნენ დასახლებულ პუნქტში. საბჭოთა მებრძოლებმა ჰიტლერელებს შესაძლებლობა არ მისცეს ფეხი მოეკიდნათ ახალ პოზიციებზე, კონტრიერიშზე გადავიდნენ და ტაფავდეს მოწინააღმდეგე. ამ ბრძოლაში მოსპობილია გერმანელთა 1 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი „ანუბის“ და „ბოკადოს“ პარტიზანებმა დანაღმეს რკინიგზის ლიანდაგი. გერმანელთა ჯარების ეშელონი, რომელიც სრული სიჩქარით მიდიოდა, ნაღმებს წაეყარა და ლიანდაგიდან გადავარდა. მოსპობილია ორთქლმავალი და 14 ვაგონი. მოკლული და დაჭრილია მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩასაფრებულმა უკრაინელთა სხვა რაზმის პარტიზანებმა სროლა აუტეხეს გერმანელთა აღალს. ალალის მცველი რაზმიდან მოკლულია 19 ჰიტლერელი. წამოდებულია დაგლა.

* * *

გერმანელთა 205-ე ქვეითი დივიზიის 335-ე პოლკის მე-11 ასეულის ტყვე ეფრეიტორ-სანიტარმა ვერნან ვესენფელდერმა განაცხადა: „წინათ მე, ისევე როგორც ბევრ სხვა ჯარისკაცს, მწამდა გერმანიის უძლეველობა. უკანასკნელი წლის ამბებმა შეარყიეს ჩემი რწმენა. ახლა ჩემთვის ცხადია, რომ გერმანია წააგებს ომს. ამ დასკვნამდე მივედი არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით. გასული წლის თებერვალში ჩვენი დივიზია საფრანგეთიდან რუსეთში გადმოიყვანეს. ველიკეთან ერთი თვის ბრძოლების განმავლობაში ჩვენ 7.000-ზე მეტი კაცი დაჭკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ამის შემდეგ დივიზია შევსებულ იქნა და კვლავ უდიდესი ზარალი მოუვიდა ველიკიე ლუკთან. 358-ე პოლკი მთლიანად იქნა მოსპობილი და არსებობა შესწყვიტა. გერმანიის არმიამ დაჰკარგა ოფიცერთა საუკეთესო კადრები თითქმის ყოველი რუსული სოფლის ხასიფლაო მოწმობს, თუ რა ზარალი მოუვიდა გერმანიის არმიას.

* * *

ჰიტლერელმა კაცუკამიებმა კიდევ ერთი შემაძრწუნებელი დანაშაული ჩაიდინეს. ფაშისტმა ბარბაროსებმა მოლად დაწვეს ვიტებსკის ოლქის ოსვეის რაიონის სოფლები. ჯალათებმა მოჰკლეს აწამეს და მდინარეში დაახრჩეს რაიონის ათასობით მშვიდობიანი მცხოვრები. გაჩანაგებულ სოფლებიდან გერმანელებმა კატორღულ სამუშაოზე გარეკეს 2.600 კაცი. გადარჩნენ მხოლოდ ის მცხოვრებნი, რომლებმაც ტყეებში გასვლა მოახერხეს.

ს.ა.კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატ ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს

ს.ა.კ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რუსული ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე, მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვლადიმერ ივანეს-ძე **ნემიროვიჩ-დანჩენკო.**

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვლადიმერ ივანეს-ძე ნემიროვიჩ-დანჩენკოს ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. აგებულ იქნას მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ძეგლი.

2. დაევალოს სსრ კავშირის საკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტს გამოსცეს ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ლიტერატურული და სარეპერტუარო-საკვლევო ნაშრომები.

3. დაარსდეს მ. გორკის სახელობის სსრ კავშირის მოსკოვის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსან სამხატვრო აკადემიურ თეატრთან სსრ კავშირის სახალხო არტისტ ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სკოლა-სტუდია.

4. დამთავრდეს მოსკოვში, 1943-44 წლის განმავლობაში, სსრ კავშირის სახალხო არტისტების კ. ს. სტანისლავსკისა და ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის შენობის აგება.

5. გადაცემულ იქნას მ. გორკის სახელობის სსრ კავშირის მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის გამგებლობაში სსრ კავშირის სახალხო არტისტ ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს



ბინა, იქ მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მუზეუმის ფილიალის მოსაწყობად.

---

1. დაუწესდეს პერსონალური პენსია სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს შვილს—მიხეილ ვლადიმერის-ძე ნემიროვიჩ-დანჩენკოს 500 მანეთის რაოდენობით თვიურად მთელ სიცოცხლეში და შვილიშვილს—ვასილ მიხეილის-ძე ნემიროვიჩ-დანჩენკოს 300 მანეთის რაოდენობით თვიურად სრულწლოვანობამდე.

2. სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს დაკრძალვა ნოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

საბჭოთა მთავრობის ნოტა იმის შესახებ, რომ მან გადასწყვიტა შესწყვიტოს ურთიერთობა პოლონეთის მთავრობასთან

ამა წლის 25 აპრილს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. **მოლოტოვმა** პოლონეთის ელჩ ბ-ნ რომერს გადასცა საბჭოთა მთავრობის შემდეგი შინაარსის ნოტა:

„ბატონო ელჩო,

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დავალებით პატივი მაქვს ვაცნობო პოლონეთის მთავრობას შემდეგი:

ამ უკანასკნელ ხანს პოლონეთის მთავრობის მოქმედება სსრ კავშირის მიმართ საბჭოთა მთავრობას მიაჩნია სრულიად არანორმალურად, ისეთ მოქმედად, რომელიც არღვევს ყველა წესსა და ნორმას ორი მოკავშირე სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებაში.

საბჭოთა კავშირისადმი მტრულ ცილისმწამებლურ კამპანიას, რაც დაიწყეს გერმანელმა ფაშისტებმა მათ მიერვე სმოლენსკის რაიონში, გერმანიის ჯარების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოკლული პოლონელი ოფიცრების გამო, მაშინვე მისცა ბანი პოლონეთის მთავრობამ და ყოველნაირად აღვივებს პოლონური ოფიციალური პრესა. პოლონეთის მთავრობამ არა თუ არ უარჰყო საზიზღარი ფაშისტური ცილისწამება სსრ კავშირზე, არამედ საჭიროდაც კი არ მიიჩნია ამის გამო მიემართა საბჭოთა მთავრობისათვის რაიმე კითხვით ან ახსნა-განმარტებით.

ჰიტლერელი ხელისუფალნი, რომლებმაც ჩაიდინეს საშინელი ბოროტმოქმედება პოლონელი ოფიცრების მიმართ, თამაშობენ გამოძიების კომედიას, რის ინსცენირებაშიც მათ გამოიყენეს ზოგიერთი მათ მიერვე შერჩეული პოლონელი პროფაშისტური ელემენტები ოკუპირებული პოლონეთისა, სადაც ყველაფერი ჰიტლერის ქუსლქვეშ იმყოფება და სადაც პატიოსან პოლონელს არ შეუძლია აშკარად სთქვას თავისი სიტყვა.

„გამოძიებაში“ ჩაბმულია, როგორც პოლონეთის მთავრობის, ისე ჰიტლერული მთავრობის მიერ საერთაშორისო წითელი ჯვარი, რომელიც იძულებულია ტერორისტული რეჟიმის და მისი დამახასიათებელი სახრჩობელებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ჟლეტის ვითარებაში მიიღოს მონაწილეობა გამოძიების ამ კომედიაში, რის რეჟისორიც არის ჰიტლერი. გასაგებია, რომ ასეთმა „გამოძიებამ“, რომელიც ამასთან საბჭოთა მთავრობის ზურგს უკან ხორციელდება, არ შეიძლება ოდნავ მაინც პატიოსანი ადამიანების ნდობა გამოიწვიოს.

ის გარემოება, რომ მტრული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაწყებულია ერთსა და იმავე დროს გერმანულ და პოლონურ პრესაში და ერთი და იმავე გეგმით სწარმოებს,—ეს გარემოება ეჭვს არ სტოვებს, რომ მოკავშირეთა მტერს—ჰიტლერსა და პოლონეთის მთავრობას შორის არსებობს კონტაქტი და შეთანხმება ამ მტრული კამპანიის ჩატარებაში.

მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის ხალხები, სისხლს ღვრიან რა მძიმე ბრძოლაში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ძაბავენ რუსი და პოლონელი ხალხების და ყველა თავისუფლებისმოყვარე დემოკრატიული ქვეყნის საერთო მტრის გასანადგურებლად, პოლონეთის მთავრობა ჰიტლერის ტირანიის საამებლად ვერაგულად სცემს ლახვარს საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა მთავრობისათვის ცნობილია, რომ ეს მტრული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პოლონეთის მთავრობის მიერ წამოწყებულია იმისათვის, რომ ჰიტლერული ცილისმწამებლური ნაყალბევის გამოყენების გზით ზემოქმედება მოახდინოს საბჭოთა მთავრობაზე იმ მიზნით, რომ მას ხელიდან გამოჰგლეჯოს ტერიტორიული დათმობანი საბჭოთა უკრაინის, საბჭოთა ბელორუსიისა და საბჭოთა ლიტვის ინტერესების ხარჯზე.

ყველა ეს გარემოება აიძულებს საბჭოთა მთავრობას აღიაროს, რომ პოლონეთის ახლანდელმა მთავრობამ, რომელიც ჰიტლერულ მთავრობასთან შეთანხმების გზაზე დაქანდა, საქმით შესწყვიტა მოკავშირეობის ურთიერთობა სსრ კავშირთან და საბჭოთა კავშირისადმი მტრული დამოკიდებულების პოზიციას დაადგა.

ყოველივე ამის საფუძველზე საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა შესწყვიტოს ურთიერთობა პოლონეთის მთავრობასთან.

გთხოვთ თქვენ, ბატონო ელჩო, დარწმუნებული იყოთ ჩემს უაღრეს პატივისცემაში.

ვ. მოლოტოვი“.

მაიორ ვ. ბარაბაძის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან).

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მაიორი ვიქტორ ალექსის-ძე **ბარაბაძე** დაჯილდოებულია **ლენინის ორდენით.**

ვ. ჟარა-მურზა

სსრ კავშირის სახალხო არტისტ ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს

**ბ. ბ. ბორისოვი, ბ. ბ. ბოგატირევი, ბ. ბ. ბოგოლიუბოვი, ბ. ბ. ბოიარინოვი, ბ. ბ. ბოიკოვი, ბ. ბ. ბოლოტინი, ბ. ბ. ბორეიშა, ბ. ბ. ბორეიკო, ბ. ბ. ბორეკო, ბ. ბ. ბორეცკი, ბ. ბ. ბორეცკაია, ბ. ბ. ბორეცკიანი, ბ. ბ. ბორეცკიანი, ბ. ბ. ბორეცკიანი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

25 აპრილის დილის ცნობა

24 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ჩვენმა მზვერავმა რაზმმა ღამით მტრის ზურგში შეაღწია. საბჭოთა მებრძოლებმა იერიში მიიტანეს მტრის კოლონაზე. დახოცეს 40 ჰიტლერელი და აიფეთქეს 15 საზიდარი სხვადასხვა ტვირთიანად.

საბჭოთა ბომბდამშენები თავს დაესხნენ გერმანელთა დიდ აეროდრომს და სარკინიგზო კვანძებს მტრის ზურგში. აეროდრომზე დამწვარია რამდენიმე თვითმფრინავი და აფეთქებულია საწყობი ბენზინიანად. რჟინგზის სადგურებში ხანძრის რამდენიმე კერა გაჩნდა.

* * *

კალინინის ფრონტზე გერმანელ მეავტომატეთა ასეული ცდილობდა ბრძოლით დაზვერვა მოეხდინა. ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელები ახლოს მოუშვეს და ნაღმსატყორცნისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით მტრის 70 ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. დანარჩენმა ჰიტლერელებმა სასწრაფოდ დაიხიეს უკან. ხელთ ვიგდეთ 2 დაზგის ტყვიამფრქვევი და ათობით ავტომატი.

ჩვენი მოიერიშეების რგოლმა გაანადგურა გერმანელთა ავტომანქანებისა და საზიდრების კოლონა, რომლებიც რამდენიმე ტანკის თანხლებით ფრონტისაკენ მოდიოდნენ. მოსპობილია გერმანელთა ტანკი და 20 ავტომანქანა და საზიდარი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ უბანზე ჰიტლერელებმა იერიში მოიტანეს 6 ნაწილის პოზიციებზე. ჩვენმა მებრძოლებმა მოწინააღმდეგის იერიში მოიგერიეს და 100-ზე მეტი ჰიტლერელი მოსპეს. სხვა უბანზე მზვერავთა ჯგუფი გვარდიის ლეიტენანტ ეშკინის მეთაურობით მტრის სანგრებთან მიიპარა, როდესაც გამოჩნდნენ გერმანელები, რომლებიც პოსტებზე ისწრაფვოდნენ, მზვერავებმა მათ გრანატები დააყარეს. მოსპობილია 10 ჰიტლერელი. მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვეები და ტყვიამფრქვევი და მშვიდობიანად დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მფრინავებმა საიერიშო მოქმედების შედეგად ჩასძირეს მტრის ტორპედიანი კატერი.

* * *

კალინინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში, რომელიც ოკუპირებულია გერმანელების მიერ, მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა თავდასხმა მოახდინა გერმანელთა გარნიზონზე დასახლებულ პუნქტში. პარტიზანებმა 60-მდე ჰიტლერელი მოსპეს. 10 აპრილს ამ რაზმის პარტიზანულმა დაზვერვამ ტყვედ ჩაიგდო ოთხი

25 აპრილის საღამოს ცნობა

25 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა გემებმა ბალტიკაზე ჩასძირეს მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავი.

გასულ კვირაში, 18-დან 24 აპრილამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მოსპობილია გერმანელთა 381 თვითმფრინავი. ჩვენ ამავე ხნის განმავლობაში 134 თვითმფრინავი დაკარგეთ.

* * *

24 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 30 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქეს საომარ მასალათა საწყობი. დაამსხვრიეს რკინიგზის შემადგენლობა, ჩასძირეს მოწინააღმდეგის 2 ტორპედიანი კატერი და 40-მდე კანჯო.

* * *

ყუბანში ჩვენს ჯარებს არტილერიისა და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან. 5 ნაწილის მებრძოლებმა ერთ უბანზე იერიში მიიტანეს ჰიტლერელთა წინააღმდეგ და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ რამდენადმე გაიუმჯობესეს პოზიციები. ჩვენმა საჰაერო ძალებმა მოწინააღმდეგის აეროდრომები დაბომბეს. თვითმფრინავთა ეკიპაჟებმა დაინახეს, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა გერმანელთა თვითმფრინავებს, ბევრგან ხანძარი გაჩნდა და აეროდრომებზე აფეთქება მოხდა. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 18 თვითმფრინავი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილები თავდაცვითს სამუშაოებს ეწეოდნენ დაკავებულ პოზიციებზე. 5 ნაწილის მზვერავთა რაზმმა შეაღწია მოწინააღმდეგის განლაგებაში და ააფეთქა 3 ძელმიწური და 2 ბლინდაჟი. მზვერავებმა მოსპეს 40 ჰიტლერელი, წამოიყვანეს ტყვეები, წამოიღეს 3 ტყვიამფრქვევი. ერთი ნაღმსატყორცნი და ტყვიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენი ნაწილები ცეცხლით ბრძოლას ეწეოდნენ. საბჭოთა არტილერისტებმა და ნაღმტყორცნელებმა დაანგრიეს მტრის 11 ძელმიწური და ბლინდაჟი, ჩაახშეს 2 საარტილერიო და 3 საღამმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ერთ უბანზე ჰიტლერელთა საბრძოლო დაცვაზე 108.000 მანეთი შეიტანა წითელი არმიისათვის საჭურვლის ასაგებად.

დიდ ყურადღებას ვუთმობთ მეცხოველეობის განვითარებას. ჩვენ გვაქვს ფერმები: სარძეო-სასაქონლო, მეცხვარეობისა და მეღორეობის. წელს მოწყობილია ორი ახალი ფერმა — მეკურდღლეობისა და მეფრინველეობის.

ძვირფასო ამხანაგებო, საქართველოს კოლმეურნეებო და კოლმეურნე ქალებო!

დიდი სიხარულით წაიკითხეთ თქვენი წერილი, რომლითაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გვიწვევთ.

განვიხილეთ რა თქვენი გამოწვევა კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის" საერთო კრებაზე, ერთსულოვნად გადავწყვიტეთ მივიღოთ იგი. ჩვენი შეჯიბრება დაგვეხმარება წარმატებით ჩატარეთ საგაზაფხულო თესვა, ქმედითი დახმარება აღმოვუჩინოთ მშობლიურ წითელ არმიას.

როგორც თქვენ, ისე ყოველი ჩვენგანი ცდილობს მთელი ძალღონით დაეხმაროს წითელ არმიას კაცობრიობის მტრისა—გერმანიის ფაშიზმის მოსპობაში. მთელი ჩვენი ფიქრი მიმართულია იქითკენ, რომ მთელი ძალღონე მოვახმაროთ დედა-სამშობლოს დაცვას, რათა რაც შეიძლება მალე გავწმინდოთ საბჭოთა მიწა-წყალი ფაშისტური სიბილწისაგან.

ჩვენი კოლმეურნეობა დიდი არ არის. გასულ წელს ჩვენთან თესვის გეგმა 480 ჰექტარს შეადგენდა. გეგმის ზევით დათესილ იქნა 20 ჰექტარი მარცვლეული კულტურები და 2 ჰექტარი კარტოფილი. მთელი მოსავალი დროზე ავიღეთ, სოციალისტური დახმარება აღმოვუჩინეთ მეზობელ კოლმეურნეობებს. ჩვენმა არტელმა სახელმწიფოს მარტო ბოსტნეული 900 ცენტნერი ჩაბარა გეგმის ზევით. გეგმის გადამეტებით ჩვენ ჩავბარეთ ბევრი რძე, ხორცი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ჩვენ აქტიური მონაწილეობა მივიღეთ წითელი არმიისათვის საჭურვლის ასაგებად სახსრების შეგროვებაში. მარტო თვითმფრინავთა ესკადრილიების „სვერდლოვსკი კოლხოზნიკის" ასაგებად გავიღეთ 430.000 მანეთი. კოლმეურნე თერაპონტე გოლოვატის მაგალითის მიხედვით ჩვენი არტელის წევრმა—წითელი არმიის სამი მეომრის მამამ ალექსანდრე ფილიპეს-ძე ვერჩილოვმა თავისი დანაზოგიდან 108.000 მანეთი შეიტანა წითელი არმიისათვის საჭურვლის ასაგებად.

კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის" საერთო კრების დავალებით წერილს ხელს აწერენ:

კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ანფილ ოფიციერი**, ბრიგადირები: **ა. ვ. სტრიგინი, ი. ვ. ტოლშინი, ა. დ. პავლოვა**, სტახანოველი კოლმეურნეები: **მ. გ. ქაშინი, ა. ა. ოსიპოვა, მ. ფ. ბოლოტოვა, ა. სარტაკოვა, ა. ი. ვარანკინა, ა. მ. ფადეევა, მ. პ. შალაევა.**

ს. ნოვაია ჟიზნის ოლქის კამიშლოვის რაიონის სოფელი ზაკამიშლოვსკოე.

ორგანიზებულად ჩავაფაროთ საგაზაფხულო თესვა

იაროსლავლელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად

მცხეთა („კომუნისტის" კორ.). კოლმეურნეები ერთსულოვნად იწონებენ იაროსლავლის ოლქის იაროსლავლის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ გორშიხის კოლმეურნეთა მიმართვას საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნიადმი. საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადმა" (თავმჯდომარე კ. ბეგაძე), რომელმაც წელს გადამეტებით შეასრულა საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების თესვის გეგმები და თავდაცვის და ფაშისტთა უღლისაგან განთავისუფლებული ძმებისა და დების დახმარების ფონდისათვის დასთესა 3 ჰექტარი მარცვლეული, იაროსლავლელთა მოწოდების საპასუხოდ იკისრა საუკეთესოდ დაამუშაოს აღნიშნული ნათესები და უზრუნველყოს მაღალი სამხედრო მოსავლის მიღება. გარდა ამისა, კოლმეურნეობამ იკისრა გეგმის გადამეტებით გამოზარდოს თავდაცვის ფონდისათვის და გერმანელ დამპყრობთაგან დაზარალებულ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დასახმარებლად 4 სული საქონელი.

მცხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. სოხაშვილი) თავდაცვის ფონდისათვის და გერმანელ ოკუპანტთაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ უკვე დასთესა 2 ჰექტარი მარცვლეული, ახლა კი იკისრა გაზაზოდოს და გაასუქოს 4 სული საქონელი. ამავე რაიონის მუხრანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. ხოშაბაევი) წევრებმა ვალდებულება იკისრეს დასთესონ 2 ჰექტარი მარცვლეული გეგმის გადამეტებით, ხოლო გასუქონ 8 სული საქონელი, მთლიანად მუხრანის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეებმა კი იკისრეს თავდაცვის ფონდისათვის და ფაშისტ ოკუპანტთა უღლისაგან განთავისუფლებულთა დასახმარებლად გეგმის გადამეტებით დასთესონ 20 ჰექტარი მარცვლეული, გაზარდონ და გაასუქონ 33 სული ღორი და რქიანი პირუტყვი.

აკ. ჟირია

თესვის გეგმების შესრულება

წყალტუბოს რაიონმა სოციალისტური ფარგოთად გაწლის შედეგად 25 აპრილისათვის კადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა მარცვლოვანი და ბოსტნეული კულტურების თესვა. დაითესა 8.158 ჰექტარი სიმინდი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.150 ჰექტარისა, ბოსტნეული ნაცვლად 675 ჰექტარისა დათესილია 679 ჰექტარი. გეგმის გადამეტებით თავდაცვის და ფაშისტ დამპყრობლებისაგან დაზარალებულ კოლმეურნეობათა დახმარების ფონდისათვის დათესილია 66 ჰექტარი სიმინდი.

თესვაში დაწინაურდნენ სოფ. მაღლაკის პარიზის კომუნის სახელობის (თავმჯდომარე ი. ტყეშელაშვილი), სოფ. წყალტუბოს ბერიას სახელობის (თავმჯდომარე ბ. კინწურაშვილი) და სხვა კოლმეურნეობები.

საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომის მდივანი **ტ. ბოგონიძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. ბიბილეიშვილი**

* * *

წალენჯიხის რაიონმა სიმინდის თესვის გეგმა ვადაზე ადრე, 25 აპრილისათვის 101 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.200 ჰექტარისა დათესილია 3.232 ჰექტარი. თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი **ა. კვარაცხელია**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვ. ფაჩულია**

დეპეშები

სსრ კავშირში მყოფი ჩეხოსლოვაკთა ჯარის ნაწილის ოფიცრებისა და ჯარისკაცების საბჭოთა ორდენებით დაჯილდოების გამო

ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს რეზოლუცია

ლონდონი, 25 აპრილი (საკადესი). ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, რაც 21 აპრილს შესდგა, ეროვნული თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა ინგრმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა სსრ კავშირში მყოფი ჩეხოსლოვაკთა ჯარის ნაწილის ოფიცრები და ჯარისკაცები. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, მოადგილე მაიერმა თავის გამოსვლაში ამის გამო აღნიშნა, რომ ამ დაჯილდოებას აქვს არა მარტო პოლიტიკური და სამხედრო, არამედ აგრეთვე ისტორიული მნიშვნელობაც. ეს აქტი, სთქვა მაიერმა, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ახალი გამოხატულებაა, მეგობრობისა, რომელიც სისხლით არის განმტკიცებული.

მაიერის წინადადებით მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საბჭო სიხარულით შეხვდა ცნობას, რომ სსრ კავშირში მყოფმა ჩეხოსლოვაკთა ჯარის ნაწილმა თავისი მოქმედებითა და ბრძოლისუნარიანობით უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. სახელმწიფო საბჭო განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ პირველი უცხოელი, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, ჩეხოსლოვაკი მეომარი იყო".

ჩეხოსლოვაკური პრესა ა. შ. შეჯავებში მიესალმება ჩეხოსლოვაკიის ჯარის ნაწილს. რომელიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იბრძვის

ნიუ-იორკი, 25 აპრილი (საკადესი). ა. შ. შტატებში გამომავალი ჩეხოსლოვაკური გაზეთები ბეჭდავენ საბჭოთა კავშირიდან მიღებულ ცნობებს, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიის ჯარის ნაწილის მონაწილეობის შესახებ. გაზეთები „მაყაფილებით აღნიშნავენ, რომ ჩეხოსლოვაკიის მეომრებს ახლა შესაძლებლობა აქვთ გვიჩვენონ თავიანთი საბრძოლო თვისებანი. გაზეთი „ნიუ-იორკკელლისტი" სწერს, რომ ცნობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სამხედრო ოპერაციებში ჩეხების მონაწილეობის შესახებ გაამხნევებს გერმანელების მიერ დამონებული ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობას. „გერმანელების ზარალი, რაც მათ ჩეხოსლოვაკიის ნაწილთან ბრძოლის შედეგად მოუვიდათ,—სწერს გაზეთი,— არის პირველი საზღაური ყველა იმ მხეცობისათვის, რასაც გერმანელები ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მიმართ სჩადიან. მალე დაიწყება ახალ-ახალი დარტყმები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვალი გვაწევს წითელი არმიისა და საბჭოთა კავშირის წინაშე".

იაპონიის ოფიციალური განცხადებანი ყველა ამერიკელი მფრინავების სიკვდილით დასჯის შესახებ

ტოკიო, 23 აპრილი (საკადესი). დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, იაპონიის საინფორმაციო სამსჭოს წარმომადგენელ ხორის განცხადებას, რომელშიც მან სთქვა, რომ იაპონიის მთავრობისათვის წაყენებული ბრალდება,—იმ ამერიკელ მფრინავებს, რომლებიც გასული წლის 18 აპრილს თავს დაესხნენ ტოკიოს და ტყვედ ჩავარდნენ, სასტიკად ეპყრობიანო,—დასაბუთებული არ არის.

ხორიმ განაცხადა, რომ ამ საკითხში იაპონიის პოზიცია უკვე ნათლად და გარკვევით იყო გადმოცემული იაპონიის მთავრობის მეულრიგ ოფიციალურ განცხადებებში და კერძოდ, 1943 წლის 17 თებერვლის ნოტაში, რომელიც იაპონიის ინტერესების წარმომადგენელი ქვეყნის საშუალებით გაეგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას.

ამ ნოტაში იაპონიის მთავრობა აცხადებს, რომ მას განზრახვა აქვს სამხედრო ტრიბუნალს, სამართალში მისცეს და მკაცრად დასაჯოს მტრის თვითმფრინავების ეკიპაჟების წევრები, რომლებიც, თავს ესხმიან რა იაპონიის ტერიტორიას, მანჯოუ-გოს ან იაპონიის სამხედრო ოპერაციების რაიონებს, ხელში ჩაუვარდებიან იაპონელ ხელისუფლებას სასტიკი აქტების ჩადენაში დამნაშავეებად იქნებიან ცნობილნი. ამასთან ერთად, ნოტაში აღნიშნული იყო, რომ იაპონიის მთავრობას განზრახვა არა აქვს მკაცრად დასაჯოს მფრინავები მარტო იმისათვის, რომ მათ სამხედრო ოპერაციებში მიიღეს მონაწილეობა, როგორც ეს ნათქვამია ამერიკის მთავრობის განცხადებაში.

ამა წლის 17 თებერვლის ნოტა შემდეგ ამტკიცებს, რომ ამერიკის თვითმფრინავების ეკიპაჟთა ის წევრები, რომლებიც ხელში ჩაუვარდნენ იაპონელ ხელისუფლებს იაპონიაზე გასული წლის 18 აპრილის თავდასხმის შემდეგ, შეგნებულად ბომბავდნენ და სწვავდნენ არასამხედრო ობიექტებს და შეგნებულად უშენდნენ ტყვიამფრქვევებს მშვიდობიან მოქალაქეებს, რის შედეგადაც იყვნენ მოკლულნი და დაჭრილნი. ამიტომ აღნიშნულ მფრინავებს იაპონიის სამხედრო კანონების შესაბამისად სიკვდილით დასჯა მიესაჯათ, მაგრამ განაჩენი შემსუბუქებულ იქნა მათი უმრავლესობის მიმართ და სასჯელის უმაღლესი ზომა მხოლოდ ზოგიერთი მათგანის მიმართ იქნა სისრულეში მოყვანილი.

დასასრულ, იაპონიის მთავრობა აღნიშნულ ნოტაში აცხადებს, რომ მას განზრახვა აქვს ისე მოეპყრას, როგორც სამხედრო ტყვეებს, მტრის თვითმფრინავთა ეკიპაჟების იმ წევრებს, რომლებიც ხელში ჩაუვარდებიან იაპონელ ხელისუფლებს იაპონიასა, მანჯოუ-გოსა და იაპონიის სამხედრო ოპერაციების რაიონებზე თავდასხმის შემდეგ, მაგრამ რომლებსაც სასტიკი და ულმობელი აქტები არ ჩაუდენიათ.

საომარი მოქმედება ჯუნისში

ლონდონი, 25 აპრილი (საკადესი). ჩრდილოეთ აფრიკის მოკავშირეთა ჯარების შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ გაფთრებული ბრძოლების შედეგად ტუნისის ფრონტის ცენტრალურ და ჩრდილოეთ უბნებზე ინგლისის პირველი არმიისა და ამერიკის მეორე კორპუსის ჯარებმა, მიუხედავად მტრის წინააღმდეგობისა მოახერხეს გაეუმჯობესებინათ თავისი პოზიციები. ფრონტის სამხრეთ უბანზე ინგლისის მერვე არმია კვლავ აწვებოდა მტერს. 23 აპრილს ღამით მან მიერ დაკავებულ ახალ პოზიციებს იგი მტკიცედ ინარჩუნებს.

23 აპრილს ღამით საშუალო ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ბიზერტის დოკებსა და მტრის ტუნისის აეროდრომებზე.

რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ქვეითმა ჯარმა დაიკავა სოფელი სიდი-მედიენი, რომელიც მეჯეზ-ელ-ბაბიდან 12 კილომეტრზე მდებარეობს. გერმანელთა კონტრიერიერშეები მოგერიებულ იქნა.

ფრონტის ცენტრალურ უბანზე ინგლისის ჯარებმა დაიკავეს პუნქტები არგუბ-ელ-მეჭილა და სეპა-არეუტი.

ლონდონი, 26 აპრილი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეები განაგრძობენ წინ წაწევას ტუნისის ფრონტზე. ინგლისელ ჯარისკაცებმა ბიზერტის დოკებს და ტრანსპორტის კოლონებსა და პოზიციებს.

შვედური გაზეთი იტალიაში არსებული მდგომარეობის შესახებ

სტოკჰოლმი, 25 აპრილი (საკადესი). გაზეთი „სტოკჰოლმს ექსტრაბლადი" იუწყება, რომ იტალიაში, სულ უფრო ძლიერდება მოელვარება და მატულობს სიძნელეები რომელთაც ფაშისტური ხელისუფლები აწყდებიან. მუსოლინის, სწერს გაზეთი, ჯერ კიდევ შეუძლია ხელი შეუშალოს აჯანყებას იტალიაში მხოლოდ იმის წყალობით, რომ იტალიაში გერმანიის ჯარები არიან. იტალიის მთავრობა ახლა გაცილებით უფრო ხშირად მართავს სხდომებს მილანის საპოლიციო რეზიდენციაში, სადაც გესტაპოს მთავარი შტაბია დაბანაკებული, ვიდრე რომის თავის სასახლეში. გაზეთი იუწყება, რომ ამას წინათ იტალიაში გადაიყვანეს გერმანელთა რამდენიმე საპოლიციო პოლკი.

იტალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი თითქმის უსაქმოდ დგას ქვანახშირისა და ნავთის მწვავე ნაკლებობის გამო. ქვანახშირის ნაკლებობის შედეგად სამხედრო საწარმოებიც იძულებული იყვნენ მუშაობა შეეწყვიტათ.

ინგლისისა და გერმანიის ომი ჰაერში

ლონდონი, 25 აპრილი (საკადესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 24 აპრილს „მოსკიტო" ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს დასავლეთ გერმანიის, რეინგზის სახელოსნოებსა და სამრეწველო ობიექტებზე. ინგლისის თვითმფრინავებს ზარალი არ მოსვლიათ.

24 აპრილს ღამით აღნიშნულია მტრის ავიაციის უმნიშვნელო აქტივობა ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მტრის რამდენიმე თვითმფრინავმა, რომლებიც სათითოოდ მოქმედებდნენ, მცირე ზარალი მოგვაყენეს. მსხვერპლი არა ყოფილა.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიის მუშაობა, რომელიც დაიწყო 18 აპრილს პლენარული სხდომით, დამთავრდა 24 აპრილს.

19 აპრილს პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: აკად. გ. ხუციშვილი—„ქართველი ხალხი სამამულო ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ"; აკად. კ. კეკელიძე—„ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული პარალელები"; აკად. გ. ჩუბინაშვილი — „ქართული ჰედვეთი ხელოვნება XI—XII საუკ.".

20 აპრილს დაიწყო სექციების სხდომები, რომლებშიც მონაწილეობდნენ აკადემიკოსები ნ. მუსხელიშვილი, გ. ახვლედიანი, ა. ჩიქობავა, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები პროფესორები ა. ჯავახიშვილი, გ. ნათაძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, პროფესორები ა. ხარაძე, ლ. გოკიელი, თ. ვეკუა, ვ. კუპრაძე, ი. მოსეშვილი, ა. ბარამიძე, ს. დანელია, ნ. ქოიავა და სხვები.

მათემატიკისა და ფიზიკის სექციის სხდომაზე 20 აპრილს მოსმენილ იქნა აკად. ნ. მუსხელიშვილის მოხსენება სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის საკითხებზე. ამავე საკითხზე სხდომამ მოისმინა პროფ. ვ. კუპრაძის მოხსენება. ამავე სექციის 21 და 22 აპრილს სხდომებზე მოსმენილ იქნა პროფესორების ა. ხარაძის, ლ. გოკიელის, თ. ვეკუას, ა. ვოლფიშის და სხვათა მოხსენებები.

ბუნებისმეტყველების სექციის სხდომებზე მოსმენილ იქნა პროფ. ი. მოსეშვილის მოხსენება პროფ. ვ. პეტრიაშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ, პროფ. პ. ქომეთიანის მოხსენება კუნთოვან ქსოვილში კალციუმის განაწილებისა და დანიშნულების შესახებ, პროფ. ა. ჯავახიშვილის მოხსენება საქართველოს გეომორფოლოგიური დაყოფის შესახებ, პროფ. ბ. დობრინინის და სხვათა მოხსენებები.

ეკონომიურ და იურიდიულ მეცნიერებათა სექციამ თავისი მუშაობა დაუკავშირა რაც ყველაზე სამამულო ომის ამოცანებით წაყენებულ საკითხებს, ისე პოლიტიკური ეკონომიის თეორიისა და საქართველოს ეკონომიური ისტორიის ზოგიერთი საკითხის გაშუქებას. მოსმენილ იქნა პროფ. ნ. ქოიავას, პროფ. ა. ვაჩეიშვილის, პროფ. ს. ბერაძის, პროფ. პ. გუგუშვილის, დოცენტების ვ. ბახტაძის, ბ. ფურცხვანიძის, ა. გოკიელის, ა. კაკაბაძის, ლ. კარბელაშვილის და ლ. პოლუმორდვინოვის მოხსენებები, რომლებშიც გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია.

სექციების მუშაობა დამთავრდა 23 აპრილს. 24 აპრილს საღამოს შესდგა სამეცნიერო სესიის პლენარული სხდომა, რომელზეც მოხსენებები გააკეთეს პროფ. ი. ტალახაძემ—„გერმანიის ფაშიზმის იმპერიალისტური ომი და ეროვნული საკითხი", აკად. ს. ჯანაშიამ—„ანტიკური შეხედულება ქართველ და კავკასურ ტომთა წარმომობის შესახებ", აკად. ნ. კეცხოველმა—„საქართველოს მცენარეული საფარი და მისი გამოყენების გზები".

სესიის მუშაობა საბოლოო სიტყვაში შეაჯამა უნივერსიტეტის რექტორმა აკად. ა. ჯანელიძემ, რომელმაც აღნიშნა სესიაზე მოსმენილ მოხსენებათა მაღალი მეცნიერული დონე და გაცხოველებული ინტერესი, რაც სესიის მუშაობამ გამოიწვია სამეცნიერო საზოგადოებრიობაში.

სესიის სხდომებს ესწრებოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ვ. ეგნატაშვილი და განათლების სახალხო კომისარი ამხ. გ. კიკნაძე.

საშუალო სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის საქალაქო კრება

23 აპრილს შესდგა თბილისის საშუალო სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების აქტივის საქალაქო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე სკოლების დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები და განათლების განყოფილებათა მუშაკები.

აქტივის კრებამ მოისმინა საქ. ალკ თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ა. შენგელიას მოხსენება 1942-43 სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარების ამოცანების შესახებ. სასწავლო წლის მესამე მეოთხედში თბილისის სკოლების მოსწავლეთა აკადემიური წარმატება 79 პროცენტს უდრის. მთელი რიგი სკოლები სამამულო ომის დღეებში სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ნორჩი თაობის აღზრდას. მოსწავლეები წარმატებით ეუფლებიან სამხედრო საქმეს. განმტკიცდა სასწავლო დისციპლინა. კარგი აკადემიური მაჩვენებლები აქვთ რკინიგზის მე-3 და მე-6 სკოლებს, ქალაქის 56-ე, მე-60, 64-ე და სხვა სკოლებს. იზრდება კომკავშირის რიგები მოწინავე ახალგაზრდების ხარჯზე. სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები ყურადღებით ეკიდებიან კომკავშირელთა წარმატებას სწავლაში. კრებებზე იხილავენ ჩამორჩენილთა საკითხს, რის შემდეგ ბევრი მათგანი გამოსწორდა.

მე-16 საშუალო სკოლის კომკავშირული ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და დისციპლინის საკითხებზე. 56-ე სკოლის კომკავშირელები ავანგარდულ როლს იჩენენ სწავლაში, დისციპლინასა და სამხედრო საქმის დაუფლებაში. ისინი აწყობენ შეხვედრებს ძველ ბოლშევიკებთან, სამამულო ომის მებრძოლებთან და ყველაფერს ამას უფარდებენ აკადემიური წარმატებისათვის ბრძოლას.

მიუხედავად მიღწევებისა, ქალაქის სკოლებს ჯერ კიდევ აქვთ ნაკლოვანებანი. ადგილი აქვს გაკვეთილების გაცდენას (მაგ. 26 კომისარის რაიონი). სუსტად მუშაობენ 1-ლი, მე-19, მე-11, 44-ე, 62-ე და სხვა სკოლების კომკავშირის ორგანიზაციები.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ქართველიშვილმა, ოგაკიმიანმა, ლებანიძემ, გიორგაძემ (ქალაქის განათლების განყოფილების გამგე), ტაბატაძემ, ნ. ჟვანიამ (საქ. ალკ ცენტრალური კომიტეტი) და სხვ. აქტივის კრებამ დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მუშკორებისა და სანარმო-დაწესებულებათა კედლის გაზეთების რედაქტორებისა და აქტივის საქალაქო შეკრება

23 აპრილს, ლ. პ. ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტის" კლუბში შესდგა მუშკორთა და საწარმო-დაწესებულებათა კედლის გაზეთების რედაქტორებისა და აქტივის საქალაქო შეკრება, რომელიც მოწვეული იყო გაზ. „კომუნისტის" რედაქციის მიერ.

შეკრებამ მოისმინა გაზ. „კომუნისტის" პ/მგებელი რედაქტორის მოადგილის ამხ. გ. ჯიბლაძის მოხსენება თემაზე: „ძირეული პრესის ამოცანები სამამულო ომის ვითარებაში".

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ინუ. ა. მასხარაშვილმა და საამქროს ოსტატმა ი. უხურგუნაშვილმა (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კედლის გაზეთების რედაქტორები), ამხ. მ. ტყეშალაძემ (ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტი), ამხ. ჩხაიძემ (6 ქარხანა), ვ. მთვრალაშვილმა (ვაგ. „კომუნისტის" რედაქცია), ყასუმაშვილმა (სამილიციო რაზმი), დანიელოვმა (ლ. პ. ბერიას სახელობის ა.-ჯ. რკინიგზის სამგზავრო სასახური), ვ. მუშკუდიანმა (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი). მათ ილაპარაკეს ძირეული პრესის მუშაობის კონკრეტულ საკითხებზე, თავიანთ გამოცდილებაზე აღნიშნეს ნაკლოვანებანი და მიუთითეს დეფექტების გამოსწორების საშუალებებზე. მოკამათენი ერთხმად მიუთითებდნენ, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ სამამულო ომის ვითარებაში საჭირო ძირეული პრესა ყოველმხრივ სანიმუშოდ მუშაობდეს, შემდგომ გაუმჯობესდეს მისი ხარისხი, უფრო ოპერატიული გახდეს. ამ ამოცანების წარმატებით შესრულების მიზნით, ძირეული პრესის მუშაკთა შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

1942-1943 წლის ზამთარში მოსახლეობის სამხედრო-სათხილამურო მომზადების შედეგები

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიადსაკავშირო კომიტეტმა შეაჯამა 1942-1943 წლის ზამთარში მოსახლეობის სამხედრო-სათხილამურო მომზადების შედეგები. მოთხილამურეთა მასობრივი სწავლება მიმდინარეობდა ერთიანი 20-საათიანი პროგრამით, რომელიც შეიცავს გრანატტყორცნას, ხელჩართულ ბრძოლას, გადახოხვას და სხვ. გასული ზამთრის მანძილზე ფიზკულტურულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მოამზადეს 2.024.000 მოთხილამურე. საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების ქვეგანაყოფთა ასეულთა-სამეთაურო-სამეთაურო-ოცეულთა-ოცეულ-ოცეულ-ოცეულ-ოცეულ-ოცეულ-ოცეულ-ოცეულ-ოცეულ-ოცეულ-ოცეულ-ოცეულ-ო